სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. N154
0112 თბილისი, საქართველო
www.suda.gov.ge
info@suda.gov.ge

29 / მაისი / 2025 წ.

KARR0187265494325

№ **03/623**

სსიპ გარემოს ეროვნულ
სააგენტოს

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსა და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს შორის 2023 წლის 24 ნოემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N155-2023 ხელშეკრულების (კონკურსი CNT230000078) საფუძველზე მიმწოდებელია ახორციელებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ჩეკურაანთგორის, სიმონიანთხევის, ხევსურთსოფელის, ღულელების, ნაქალაქარის, დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავების საპროექტო სამუშაოებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 27 - ე მუხლის შესაბამისად, განხილვისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ თიანეთის მუნიციპალიტეტის ჩეკურაანთგორის, სიმონიანთხევის, ხევსურთსოფელის, ღულელების, ნაქალაქარის, დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის (შემდგომში, სდგ) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშს როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით.

ასევე გაცნობებთ, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, 2025 წლის 11 ივლისს 13:00 საათზე დაიგეგმა თიანეთის მუნიციპალიტეტის ჩეკურაანთგორის, სიმონიანთხევის, ხევსურთსოფელის, ღულელების, ნაქალაქარის, დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა შემდეგ მისამართზე: თიანეთის მუნიციპალიტეტი, დ. თიანეთი, რუსთაველის #1, ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი.

დანართი:

- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში;
- არატექნიკური რეზიუმე;
- სკოპინგის დასკვნითა და ხარვეზის წერილით განსაზღვრულ თითოეულ საკითხზე რეაგირების ცხრილი;
- სდგ ტექსტური ნაწილი;
- სდგ გრაფიკული ალბომი;
- სდგ მართვის პოლიტიკის რეგულაციები;
- დანართები და SHP ფაილები.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ზურაბი წიკლაური